ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2500202

ნომერი: AR1385821

თარიღი : 12.03.2016

გაცემის თარიღი : 25.03.2016

გაცნობის თარიღი : 25.03.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა / ქალაქი თბილისი , დიღმის ტერიტორია ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ღამბაშიძე პ/ნ 01027010089
- თბილისი III მასივი VIII კვ. კორ. 15 ბ. 40

ორგანიზაცია:
- შპს ბიემსი გეზი კოდი: 406130618

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის უნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო გეგმით #01.72.14.009.283 მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გაცემულია „დიღმის ჭალების“ განაშენიანების რეგულიების გეგმის გეგმარებითი დავალება (გადაწყვეტილება #75855). რადგანაც ტერიტორია და მიწის ნაკვეთები ქაოტურად არის განვითარებული და არ არსებობს ინფრასტრუქტურა, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულ და მიმდებარე ტერიტორიებზე დამუშავდეს სამშენებლო განვითარების „განაშენიანების რეგულირების გეგმის“ პროექტი ზემოთაღნიშნული გეგმარებითი დავალების საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ბელიაშვილისა და ჯ. ბალანჩინის ქუჩების ურთიერთ გადაკვეთაზე სატრანსპორტო კვანძის მოწესრიგება. ასევე განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი აღნიშნული ტერიტორიებისთვის დაადგენს სამშენებლო მოცულობებს, მათ სიმაღლეებს, საზოგადოებრივ–სარეკრეაციო სივრცეებს, სატრანსპორტო სქემას და სხვას, რის შესაბამისადაც მოხდება აღნიშნული ტერიტორიის სამშენებლო განვითარება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, რომ დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.